საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №168/ნ
2017 წლის 18 სექტემბერი

ქ. თბილისი

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებაში (სსმ, 163, 14/12/2010) და ბრძანების მე-4 პუნქტით დამტკიცებული „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალიდან“ (დანართი №4) ამოღებულ იქნეს შემდეგი პროფესიული სპეციალიზაციები:

ა) 020366 – საბაჟო საქმის სპეციალისტი;

ბ) 020154 – მოლარე;

გ) 020455 – ბანკის მოლარე-ოპერატორი;

დ) 020367 – ღონისძიების მენეჯერი;

ე) 020155 – ბუღალტერ-ტექნიკოსი;

ვ) 020365 – ოფისის მენეჯერი;

ზ) 040160 – ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი;

თ) 010362 – თევზის მომშენებელ - ოპერატორი;

ი) 040683 – ჰიდროტექნიკური მშენებლობის ტექნიკოსი;

კ) 010463 – მზარეული;

ლ) 040566 – დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი;

მ) 040567 – ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს - შემკეთებელი;

ნ) 040778 – სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი;

ო) 112064 – სასტუმრო საქმის სპეციალისტი;

პ) 112065 – მიღება-განთავსების სპეციალისტი;

ჟ) 112066 – რესტორნის სერვისმენეჯერი;

რ) 020151 – ბუღალტერი;

ს) 080157 – ფოტოგრაფი;

ტ) 041351 – გარემოს დაცვის ტექნიკოსი.

მუხლი 2

1. ამ ბრძანების პირველი მუხლის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ძალაში შევიდეს 2017 წლის 21 სექტემბრიდან;

ბ) „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ძალაში შევიდეს 2018 წლის 27 ივლისიდან;

გ) „ე“ ქვეპუნქტი ძალაში შევიდეს 2019 წლის 1 იანვრიდან;

დ) „ვ“ ქვეპუნქტი ძალაში შევიდეს 2019 წლის 1 აპრილიდან;

ე) „ზ“ ქვეპუნქტი ძალაში შევიდეს 2019 წლის 1 მარტიდან;

ვ) „კ“ ქვეპუნქტი ძალაში შევიდეს 2019 წლის 27 ივლისიდან;

ზ) „ლ“ ქვეპუნქტი ძალაში შევიდეს 2019 წლის 1 ივნისიდან;

თ) „მ“ ქვეპუნქტი ძალაში შევიდეს 2019 წლის 1 თებერვლიდან;

ი) „ნ“ ქვეპუნქტი ძალაში შევიდეს 2019 წლის 30 ოქტომბრიდან;

კ) „ო“, „პ“ და „ჟ“ ქვეპუნქტები ძალაში შევიდეს 2019 წლის 27 ივლისიდან;

ლ) „რ“, „ს“ და „ტ“ ქვეპუნქტები ძალაში შევიდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავა**